

წიგნ. 9937

საქართველოს მემორიალი

ფასი 50 ჰ.




მწეემსი კეთილი.

№ 50

1920 წ.
ნოემბრის 21



184



„ნაადრევ ზამთრის ცივი სუნთქვა აწვება კარებს.
ბათუმის ბკესთან მახვილს ღესავს ძველი სალახი.
გიორგი ამბობს: „მიგვაკლდება ჩვენ წელს ბაღახი“...
და ტრაპიზონში ერეკება ლურჯთვალა ხარებს“.

9937

აღმოსავლეთის საკითხი.

მას შემდეგ, რაც თედო ლლონტიმა აღმოსავლეთის თავისი მეცნიერული კრიტიკის სხივები მიანა, ეს საკითხი ყველასათვის უკვე ნათელი და გარკვეული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისტორია ისეთი ჟინიანი და ჰირვეული ვინმე ბრძანდება, რომელსაც ვერაფრით ვერ ასიაშოვნებ. ის (რასაკვირველია. ისტორია და არა თედო ლლონტი) მუდამ თავისი ჭკუით დაიარება. მზესავით ნათელსა და ყველასათვის აშკარა მომავლის ჰორიზონტს უცებ ისე ჩამოგიშურავს და ჩამოგიბნელებს, რომ იქ არათუ ისეთი საშუალო ბოლშევიკი, როგორც თედო ლლონტია, თვით ჩიჩერინიც ვეღარაფერს გაარკვევს.

აღმოსავლეთის საკითხი დღეს სწორეთ ასეთ დახლართულ საკითხად არის აღიარებული და ჩვენც გვსურს, როგორც ყველა სხვა გაზეთებს, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ ბნელი საკითხის გარკვევის საქმეში.

აღმოსავლეთის საკითხი იწყება დაახლოებით ბალკანეთიდან და მიდის თვით ინდოეთამდე. ე. ი. დაახლოებით იქამდე, სადაც იგივე საკითხი იაპონიისათვის დასავლეთის საკითხად იწყება. აქედან ცხადათ სჩანს აღნიშნული საკითხის სიგრძე და სიღლიადე.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ინგლისს აღმოსავლეთში საგრძნობი ინტერესები აქვს. ეს აზრი ამ წინაზე გადაკვრით გამოითქვა ადგილობრივ პრესაში; ჩვენთვის კი აქ საეჭვო თითქმის არაფერია. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: ინგლისი ცდილობს ეს მისი ინტერესები არ შეიღახოს, ხოლო უკეთუ მისი ინტერესები და პრესტიჟი აღმოსავლეთში უფრო განმტკიცდება, ამის საწინააღმდეგო ინგლისის მთავრობას არაფერი ექნება. ეს ჩვენ ფრიად უტყუარი და სარწმუნო წყაროებიდან ვიცით.

განსაკუთრებულად ინგლისი ინდოეთს უფროთხილდება და ყველა ის, ვინც მას ინდოეთს დააკარგინებს მისი მტერი იქნება.

ამიტომ საბჭოთა რუსეთი, რომელიც სცდილობს ინდოეთის აფეთქებას, არ შეიძლება ინგლისის მეგობრათ ჩაითვალოს. აფეთქებული ინდოეთი ბრიტანეთს აღარ გამოადგება, ვინაიდან აფეთქების დროს მთელი მისი ინტერესები დაინგრევა.

ამგვარათ გამოირკვა, რომ საბჭოთა რუსეთი ინგლისის მტერია, ხოლო ინგლისი საბჭოთა რუსეთისა და ეს მტრობა აღმოცენებულია არა რომანიულს, არამედ ინდოეთის ნიადაგზე. ეს ორი უმთავრესი აქლემია, რომელნიც წაიკიდნენ აღმოსავლეთის საქმეებზე. ამ აქლემთა ფეხებ შორის გახლართულია მთელი რიგი კოზაკებისა.

აღმოსავლეთის საქმეებში დაინტერესებულნი არიან ეს კოზაკებიც. თქვენ კარგათ მოგესხნებათ,

რომ სტამბოლი ერთობ ლამაზი ქალაქია; სილამაზესთან ერთად სტამბოლი ისეთ მოხერხებულ ალაგას სძევს, რომ ყოვლად შეუძლებელია გამველგამომვლელს მისი ინტერესი არ ჩაუვარდეს გულში. მაგრამ გულში ჩავარდნა ეს კიდევ არ ნიშნავს ჯამში, გინდ ჯიბეში ჩავარდნას.

სტამბოლზე რუსეთი შეყვარებულია ძველის ძველთაგანვე. სტამბოლი მოსწონს ინგლისსაც. მაგრამ უსტამბოლოთ ცხოვრება არ შეუძლია არც საბერძნეთს, ხოლო ოსმალეთისათვის სტამბოლი სატახტო ქალაქია. სტამბოლზე უარს არც საფრანგეთი, არც იტალია, არც ბულგარეთი და არც რუმინია არ იტყვის.

საქართველოსათვის სტამბოლს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. სტამბოლის შემოერთებით ჩვენ შეგვეძლება იმ მაგნე აგიტაციის მოსპობა, რომელსაც სტამბოლელი ვაჭრები ჩვენს წინააღმდეგ ავრცელებენ, მაგრამ მართა ამითაც არ ისაზღვრება საქართველოს ინტერესები სტამბოლში. ჩვენ მათ ჩამოთვლას აქ არ გამოუდგებით. აღნიშნავთ კიდევ ერთს, სახელდობრ იმას, რომ სტამბოლთან, ანუ უკეთ ვსთქვათ ოსმალეთთან ჩვენს რესპუბლიკას დიდი ეკონომიური ურთი—ერთობა და გაცხარებული ვაჭრობა ანუ აღებ მიცემობა აქვს გამართული. ჩვენ გაგვყავს ოსმალეთში წედლი საქონელი ხარებისა, ძროხებისა და ცხვრების სახით, ხოლო იქიდან შემოგვყავს აგრეთვე წედლი საქონელი ქემალ-ფაშას ბანდების სახით.

ამ გაცვლა-გამოცვლის საქმეს სათავეში უდგას ჩვენი ნორჩი ბურჟუაზია ეგრეთ წოდებული ნაციონალ-ბურჟუაზიის პარტია თავისი სახელოვანი ლიდერის, გიორგი გვაზავას მეთაურობით.

წინეთ, როდესაც ჩვენი ნაციონალ დემოკრატები რესპუბლიკის მთავრობას, (განსაკუთრებით კი მომარაგების მინისტრს, ერაძეს) სამეურნეო პოლიტიკას უწუნებდნენ და მათ გადადგომას მოითხოვდნენ, ყველას ღიმი ეკვროდა ტუჩებზე და ამბობდნენ:—ერთი შეხედეთ ამ ფუტურისტებს, როგორ მართლა ვაჭრებსავით სწვრენ და ლაპარაკობენო. —ახლა კი აღარავისთვის საეჭვო არ არის ის ეკონომიური შორსმჭვრეტელობა, რომელიც ნაციონალ-დემოკრატების პარტიამ გამოიჩინა. წარმოიდგინეთ; — მიჰყავთ ხარები, ძროხები, ცხვრები... ერთის სიტყვით პირუტყვები და სამშობლოში კი შემოჰყავთ ასკერები, ბეგები და ფაშები!!

აქ ჰირვეულობა და წინააღმდეგის მტკიცება მეტია! ჩემის აზრით მთელი მთავრობა თუ არა, მომარაგების მინისტრი ბ-ნი ერაძე უნდა გადადგეს და ადგილი დაუთმოს უკვე საკმაოდ დამახურებულ გიორგი გვაზავას.

ამგვარათ სტამბოლსა და ოსმალეთში ჩვენთან ერთად ინტერესები აქვთ სხვა სახელმწიფოებსაც. ასევე ითქმის ბაქოსა და ადირბეიჯანის შესახებ.

ბაქო ძლიერ სჭირია ბოლშევიკებს, მაგრამ იგივე ბაქო საჭიროა ინგლისისათვისაც. ჩვენ უკონკრეტოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფრანგეთსაც და ამერიკასაც არ აწყენს ბაქოს პატრონობა. ბაქო რა თქმა უნდა თავის-თავად დიდი არაფერია. ბაქოზე უფრო ძვირფასი ის ნავთია, რომელიც ბაქოში ამოდის. ნავთი ერთობ ძვირფასი საწვავი მასალაა და სწორედ ამაშია მისი ღირსება. მართალია თითონ ბაქოც საწვავი მასალაა, მაგრამ მისი წალება არ შეიძლება, მისი დაწვა მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება.

ცხადია, თუ ბაქო ბოლშევიკებს დარჩა, მაშინ ინგლისმა ხელი უნდა აიღოს მასზე, ხოლო უკეთეს ბაქოს ინგლისი დაეპატრონა გარიყული დარჩება ბოლშევიკური რუსეთი. ასეთი უღმობელია ისტორიის მსჯავრი.

ამგვართ, ინტერესები სხვა და სხვა სახელმწიფოთა აღმოსავლეთში ერთმანეთს მკიდრით გადახლართულია. ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ცდილობს ეს კითხვა თავის სასარგებლოთ, ანუ უკეთეს ვსთქვათ თავისი ინტერესების მიხედვით გადასჭრას. ამ მიზნით თითოეული მეგრძოლი სახელმწიფო ეძებს თავისთვის დამხმარეს და მეგობარს. (ამ უმად დრო არ არის აღენიშნოთ ერთად ერთი გამონაკლისი ამ კატეგორიიდან, სომხეთი, რომელიც მეგობრის შეძენაზე ბევრ დროს არ ჰკარგავს).

საბჭოთა რუსეთმა ამ მიზნით კომუნისტობისა და სოციალისტობის ორდენი უბოძა ყველა აღმოსავლეთის ერებს და მათ შორის განსაკუთრებულის კომუნისტური ნდობით აღჭურვა ოსმალეთის ფაშები. ასე წარმოშვა ქემალ-ფაშამ მისი წითელი, კომუნისტურ-ყოზილბაშური ლაშქარი.

მოსკოვმა მას მიანდო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა, რომლისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა სომხეთისა და საქართველოს ამოწყვეტა. ქემალ ფაშამ სანახევროდ უკვე მიიღწია მიზანს და სომხები თითქმის ამოსწყვიტა. ჯერი ამ უმად საქართველოზეა.

აი ბატონებო მთელი თავისი სიცხადით და სიმარტივით გადაიშალა თქვენს წინაშე რთული საკითხი აღმოსავლეთისა. ახლა თქვენ თითონ განსაჯეთ თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა.

ლიპლომატი.

ზამთრის პირი

თეთრი დედოფლის თეთრი მონა ბოქავს ქვეყანას. ნამიან ფრთებით მთებს ევლება ამაყი ქარი. ყინულის კოცნა გააყვითლებს ვნებიან ყანას. ცივა და... ნეტავ მსუქან ქალის გამხადა ქმარი!

წითელი მთვარე ბაქოს სქელ კვამლს ეარშიყება ჩიჩერინის რაზმს ერზერუმში მიაჭრეს ძუა. ადერბეიჯანში ვანკას არ სურს ალის მიღება: ჰგავს—შავმა კატამ გაირბინა მეგობრებს შუა.

ჩვენს რესპუბლიკას მტერმა კიდევ გამოკრა კვანტი. სადარაჯოზე ნორჩ სიცოცხლეს სწვავენ გმირები. აქ უზრუნველათ დასეირნობს სპეკულიანტი... ხნავს ბედაური და... მონაგარს სჭამენ ვირები.

თეთრი დედოფლის თეთრი მონა ჰბოქავს ქვეყანას ნიმიან ფრთებით მთებს ევლება ამაყი ქარი. ყინულის კოცნა გააყვითლებს ვნებიან ყანას. ცივა და... ნეტავ მსუქან ქალის გამხადა ქმარი!

შეცდომის გასწორება: d-ის ლექსში, რომელიც მოთავსებულია „ემ. მათრახის“ მე 49 №-ში დაშვებულია შემდეგი შეცდომები: პირველი ტაეპის მეორე პწკარში „ზღვის“ ნაცვლათ დაბეჭდილია „მზის“, ხოლო მესამე ტაეპში სავსებით გამოტოვებულია პირველი ბწკარი: „**მოსკოვს ანგორის მეგობრობა ძლიერ ახარებს.**“

„ჭაღარას“ ბედი

მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ მაინც გასაკვირია ზოგიერთი მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა.

ერთ ამგვარ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს „სიქაღარავე“, ანუ „ქაღარაობა“. ამ საბედისწერო ფსევდონიმს უხსოვარი დროიდანვე ხმარობდა კაცობრიობა, მაგრამ მას ყოველთვის ხიფათი და შერცხვენა დევდა თან.

1906 თუ 1907 წლებში ვილაც „ქაღარამ“ დაიწყო წერა ჟურნალ „ეკალში“. რამდენი წერილიც დასწერა, იმდენჯერ თავი გაიწკებლა და გაიმათრახა.

ახლაც, ამ თხუთმეტ—თექვსმეტი წლის შემდეგ „ახალ-სხივს“ მოველინა თავისი „ქაღარა“ აქაც იგივე უბედობა და საერთო შერცხვენა ამ ფსევდონიმისა. ეს უკანასკნელი შერცხვენა იმდენათ თვალსაჩინო და აუტანელი გამოდგა, რომ ძველმა „ეკლის“ „ქაღარამ“ გაზეთის საშუალებით გამოაცხადა: „მე არა ვარ ეს ახალი „ქაღარა“ და მის აზრს არ ვიზიარებო.“

ერიდეთ „ქაღარაობას“, „სიქაღარავეს“ და „ქაღარას.“ მათ უბედურება და შერცხვენა თანა სდევს.

ისტორიკოსი.





გიორგი გვაზავა

დამფუძნებელი კრების წევრი და ცნობილი კომერსანტი. ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის და ქრახების ბელადი, — შწყემსი კეთილი, რომელიც მისწვდა საქართველოში მცხოვრებ ქრახების აუტანელ მდგომარეობას და განიზრახა მათი დასაფლეთ ევროპაში გადასახლება.

სახრჩობელაზე

შუა ღამეა. მე და ჩემს ანუსის ტკბილათ გვძინავს. საამურ ხვრინვას ვუშვებთ. უცებ, ვი-
ლაცამ კარებს დაუკაკუნა.

მე ყურები ვცქვიტე: ვინ უნდა იყოს ამ შუა ღამეს?

კაკუნი უფრო გაძლიერდა.

— ვინა ხარ? შევეკითხე მე.

— ოტკროიტე ღვერი — მოისმა ბრძანებითი ხმა.

მე შიშმა ამიტანა, ვაი თუ ყაჩაღები დამე-
ცენ -მეთქი.


— ოტკროიტე ატო პოლამაემ ღვერი.

მეტი რა გზა იყო, კარები გავადე. ოთახში შემოიჭრა ოთხი რუსის მეზღვაური, თავიდან ფე-
ხამდე შეიარაღებული.

— იმენემ რევოლიუციი ვი არესტოვანი, კაკ კონტრ-რევოლიუციონერ.

მე გონს ვერ მოველ. არ ვიცოდი, რაში იყო საქმე, მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც ქუჩაში გამიყვანეს. აუარებელი წითელ არ-
მიელები დასეოდენ რუსთაველის პროსპექტზე გა-
მოკიმულ მაღაზიებს და გაქონდათ რის გატანაც კი შეიძლებოდა. ცხადი იყო, ბოლშევიკებს აეღოთ თფილისი, მიმიყვანეს ჩრეზვიჩაიკაში. ღმერთო ჩემო, ყველანი აქ არიან: ალფესი, სამსონი, შალვა.

— ოჩერედ ზა ვამი გოსპოდა — ირონიულად



პლატონ თალაკვაძე

კომპერატორის მოდერაჟი. მის ტანის სიმსუქნეს არაფართარი მახეზობრივი კაუშირი არა აქვს კომპერატორში მოდერაჟობასთან და „კეთილ შენაძენათ“ არ ჩაითვლება, რადგან პლატონი „ანაკვაბათ“ მსუქანი იყო.

უთხრა მეზღვაურმა ალფესის და ჩაარბენინა ეზოში ჩასასვლელი კიბე.

— შალვა, ღვთის გულისათვის გამაკვებინე რას გვიპირებენ?

— ფლავი ჩამოუტანიათ ბაქოდან და უნდა გვაქამონ; გაიხუმრა შალვამ.

— რა ღროს ხუმრობაა კაცო, მართალი მითხარი.

— თუ სიმართლე გინდა გაიგო ვადიხედე ეზოში და ნახავ. ღმერთო ჩემო რა საშინელება იყო... ეზოში აემართათ თორმეტი სახრჩობელა, თორმეტივეზე სათითაოთ ეკიდა სეკრეტარიატის წევრები: ოქრო ლაცაბიძე ისე დაეკიმა თოკს, რომ სამი საყენი სიგძე ჰქონდა. მე გული წამივიდა.

— შალვა, ნუ თუ ჩვენც?!

— ჩვენ რავა ვაგვიბედავენ.

— შალვა შენი კირიმე მიხსენი, ახლად ჯვარ დაწერილი ვარ, ცოდვაა ჩემი ანუსი. ვებვეწებოდი მე.

— შენ ჩემი იმედით იყავ, სხვა არა გინდა რა.

— ნუკა გოსპოდა, მილოსტი პროსიმი! — უთხრა ისევ ირონიულათ მეზღვაურმა შალვას და სამსონს და ჩაიყვანა კიბეები. მე მარტო დავრჩი. ღმერთო ჩემო, ნუ თუ უნდა დამახრჩონ? მეორე ოთახიდან გამოვიდა ჩემი კარგი მეგობარი და რწმენით კომუნისტი იასონი.

— იასონ, შენი კირიმე, ჩემი ძამია მიშველე რამე! მე მენშევიკი არა ვარ, დამეხმარე!

— დიახ, ვაჟბატონო, ეხლა უკვე გვიანია, გიცნობთ ვინცა ბრძანდებით... წაიყვანეთ საჩქაროთ.

მეზღვაურებმა ხელი წამავლეს, ძალით მიმათრევენ.

კომუნისტური სამოთხისაკენ.



გერმანელი კომუნისტები. აი იქ, მოსკოვში, სადაც აღმობრწყინდა მზე სოციალიზმისა ნამდვილი სა-
მოთხეა დამყარებული. იქ ჩვენ დაგვხვდება სრული თავისუფლება შრომისა, გულწრფელი შეგობრული მოხურება;
ყოველგვარი სურსათ-სანაფაგე; ჩიტის რქე და არის, ისიც კი არ მიგვაკლდება! გასწიოთ ამხანაგო, გასწიოთ!

— მიშველეთ. დეთის გულისათვის. ახლად
ცოლ შერთული კაცი ვარ. ვყვირი მე, მეზღვა
ურნი კი თავისას არ იშლიან.

— მიშველეთ ქრისტიანებო, დამახჩვესი ანუ-
სი, ანუსი, სადა ხარ, მიშვლე! დავიყვირე რაც ძა-
ლი და ღონე მქონდა და ისე მძლავრათ გავიქნიე
ხელფეხი რომ ორივე მეზღვაურები კიბეებიდან
შიგ ეზოში გადავტყორცნე.

— ვაიმე მომკლა ამ უღმერთომ, ჩამიტვრია
გვერდები—წუწუნებდა ჩემი ანუსი, რომელიც ია-
ტაკზე ეგდო.

— ანუსი, შენი ჭირიმე, ნუ თუ ეს შენა ხარ?
ნუ თუ ეს სიზმარი იყო? გახარებული ვყვიროდი
მე და ანუსის ხელებს ვუკოცნიდი.

— დაახრჩვი საცხა რა ნაირი ძილი იცი,
დამამტვრიე ადამიანი!

— არაფერია შენი ჭირიმე, მადლობა ღმერთს
რო ყველაფერი ეს სიზმარი ყოფილა.

ჩემი ანუსი თავის გვერდების ტკივილზე ბუზ-
ღუნებდა, მე კი სიხარულით ბალიშს ვკოცნიდი.
ხუმრობა ხომ არ იყო—კაცი სახრჩობელას გა-
ღურჩი.

გ. ბომბოთელი

მორიგი უსამართლობა

ბევრი უკულმართობა მოისპო ჩვენს ცხოვ-
რებაში, იმედია ბევრი მოსპობის გზაზეა დამდგა-
რი, მაგრამ არის ისეთი თვალსაჩინო, აშკარა უსა-
მართლობა რომლის არ დანახვა პირდაპირ დანა-
შაულია.

მე მოგახსენებთ მოქალაქის უფლებათა შეზ-
ღუდვაზე, დიახ!..

ჩვენ ვიცით, რომ ყოველი მოქალაქე რეს-
პუბლიკისა **სრულიად თავისუფალია** ყიდვა-გაყი-
დვის საქმეში. ეს თავისთავად ქვეყანაში ასეც უნ
და იყოს.


მაგრამ არის ერთი კატეგორია რესპუბლიკის
მოქალაქეთა — **მილიციონერები** — რომლებსთვი-
საც ქალაქის გამგეობა ქმნის რაღაც ანაქრონიზმებს,
ნიხრად წოდებულს და აი ეს მილიცია ვალდე-
ბულია ყოველგვარი **სანოვაგე ამ ნიხრზე იყიდოს.**

საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ხალხის შევიწ-
როებას და მილიციასაც უფლება მიეცეს თავისუ-
ფალი ვაჭრობისა.

უკიდურეს შემთხვევაში ეს „ნიხრია“ თუ რა-
ღაც ყველა მოქალაქეთათვის დავაარსოთ.

ნიორი,

კომუნისტურ სამოთხეში.



გერმანელი კომუნისტები: გერმანიაჲ!! გერმანიაჲ! შენა ჯოჯოხეთი მიჩხეუნია რუსულ სამოთხეს, მაშგ:ღუთ, დამისსენით სამოთხიდან!..

ქ. ზესტაფონი

(შორაპნის მაზრა)


შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბი თავის „კვარტირმისტრ“ პ. კობახიძის პირით დიდ მადლობას უცხადებს ზესტაფონის „ქველმოქმედ“ ვაჭარს ალ. ბერიაშვილს იმისათვის, რომ მან (ბერიაშვილმა) დიდი „ხათრი“ გაუკეთა გვარდიის შტაბს ლამფების მიყიდვაში: მე 5 ნომერი პატარა ლამფა თანახმა იყო ბერიაშვილი მიეყიდა შტაბისათვის დილით 1000 მანეთად; ხოლო იმავე დღეს, საღამოს, ბერიაშვილმა გადაახდევინა „კვარტირმისტრს“ კობახიძეს იმავე ლამფაში მარტო 1500 მანეთი, მეტი არა.

ქველმოქმედება ალ ბერიაშვილისა მარტო ამით არ ისაზღვრება, იგი მუდამ მზათ არის სა-

ზოგადო დაწესებულებებს გაჭირვების დროს ყოველ მხრივ „დახმარება“ გაუწიოს.


შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა და ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი ერთი-მეორეს ეჯიბრებიან, თუ რომელი მათგანი უფრო უფრო მეტ ქაღებს მიიღებენ სამსახურში ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით ჯერჯერობით პირველობის პრიზის მიღება არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის, ვინაიდან ორივეს თანასწორი რიცხვი ქაღებისა ყავს აყვანილი სამსახურში. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ერობის სამოქმედო ასპარეზი უფრო დიდია და „პროტექციონიზმიც“ მას ხელს უწყობს, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველობა ერობის გამგეობას დარჩება.

პროლეტარი



მ ე მ კ ვ ი დ რ ე


მუსტაფა ქემაღს ანგორელსა და ლენინს ლადოს
ცელქმა ამურმა გაუგმინა გულა ისრითა.
ველარ გაუძღეს სიუვარულის მძლეობა-მძლე ჯადოს
და ვნების ცეცხლში გადაეშვენ ორნივე კისრითა.




კანონიერათ დაქორწილდენ შეეგარებულნი...
წამტაცე იჟა მშვენიერი მათი ქორწილი!
ერთ გზას დაადგენ აქამომდე ცალკე რებულნი,
უფრო ანთა ვნების ალი, გასდა ორ-წილი.



და მადლობა დმურთს, რომ ნაყოფიერ ამა უღლისა
(რომლის შერეუვა ანვის ძაღუმს, არცა გათიშვა!),
ნაყოფი ტრფობის, სიუვარულის, არა მუდლისა—
ვიდრე ელადენ, მასზე ჩქარა და სწრაფათ იშვა.




იშვან თუ არა, იმავე წამში დაიტოტინა:
 „შენ სთამაშის გაკეთება იგი ხომ ხისა?
 მამ, გამიკეთე!“ მამამ უთხრა, „გინდა ტოტინა?
 სხვა სთამაშო არა მაქვს რა გარდა სომხისა!“




— ჩაქვლავ კიდევ?... ჩემს ბიჭუნას კი ვენაცვალე!
 ეხლავე ეტყობა, რომ მშობლების გახდება ბურჯი!
 ხელში გეჭნება ამ საღამოს თუ არა, ხვალე
 სხვა სთამაშო, სულ ახალი: ქართველი, გურჯი!




მოდის ქემადი: „ბადა-ბადა!“ — აუშვა ჭანგი:
 — ნახე რა მალე მოგიუფანო გურჯი, რა მალე!




— ვაიმე! ალალა! — დაიბლაფლა: ნა ვარ? ხაფანგი?



წიხლი ჭკრა გურჯმა, გადუძხა შორს ყირამდას!



ბავშვთან დაბრუნდა მიბეგვილი ჩვენი ქემალა:
— შეიღო, დამზიდეს, გენაცვალოს უნი მამუნა!



და პირში შეიღმა დეიდი მამა, მამა დღე-მადი,
მამა მშობელი... გემრეკათ შეხსნაყენა!

თაგუნა.

შექანგალებულის ლექსები

ვაი!.. მიშველეთ... ეს რაა?
არ ვიცი რა მელანდება!..
ცხვირ-წინ დაუსტვენს ქარბუქი,
თვალეში ამებლანდება...

უკრებში ზარებს რეკავენ...
ხან ისმის წვიმის შრიალი...
აჰა, სახლებმა დაიწყეს
წალმა-უკულმა ტრიალი...

ტვინს კინკველები მებვევა...
მაზრზენს და ტანში მაურეოლებს,
ავტომობილი ქუჩებში
დღეს აღარავის აქროლებს...

ცხვირის წესტოებს მისინჯავს
ზამთრის მსუსხავი ქარია...
სიცივმა სურდო შეჰყარა,
მიკვდება მე ბუხარია.

ღმერთო რა უმაძღარია
ზღაპრულ ტფილისის მუცელი:
მაინც ვერ გაძლა, თუმც ბევრი
აქამეს გაცრილ უცრელი..

რა ღორმუცელია რამ არის...
ჩაყლაპა ქვეყნად რაც არი..
მაინც არ ძღება... პურის წილ
თუმც ყლაპა ქვიშა, ნაცარი.

სკამს და ზის... არას აკეთებს...
მას სახელმწიფო ძლივს არჩენს..
მსგავს მუქთა-ხორა ქალაქთა
ქვეყნად სხვას ვინ აღმოაჩენს?.

ჰარალო, ბიკო, ჰარალო...
დილი დალაღე, დალაღე.
კლუბ-რესტორანი დაკეტეს,
ჩემსას ქუხს ჰარი,—ჰარაღე...

ჩანგურზე თითებს ვაცეკვებ,
მინდა თან დავალინო...
ეზოდან ჩუმად შამოდი,
რომ დაგახვედრო იქ ღვინო...

ვინ იტყვის ქვარტლი შავია?!.
ვინ იტყვის თოვლი თეთრია?..
კლუბიდან კერძო ბინებზე
გადადის ლხინის ცენტრია...

მღერას იწყებენ მინორით,
ნელ-ნელ გადავლენ მაჟორზე;
მაშ, რა ქნან, როცა ნუნუა
შეაჯენს იმათ შავ ჯორზე...

კოკა წყალი წემსის წვერით
აბა მითხარ, ვინ დასცალოს...
ქართველს, როცა მოუნდება
ღხინი, სთქვი ვინ აუტრძალოს.

უნახშიროთ და უცეცხლოთ
სუკის წვადი ვინღა შეწვა...
ქართველი რის ქართველია
ტიკით ზორბათ თუ არ შესვა...

მაშინ უფრო საღათ განსკვრეტს,
ვითარებას და დრო და ჟამს...
„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს“...
ვის უქამია, კვლავ ის სქამს...

შენ ისეთს რამეს ვით იზამ,
რაც შენს მსგავს სხვას არ უქნია...
ლენინმა აღმოსავლეთსა
ჟინჯილილი გადაუქნია...

იქ ცეცხლი აღარ ჩაღდება...
არ ყირმიზდება აზია!!
ანტანტა ქემალს თვალს უქნევს...
დახე, რა ოინბაზია?!!

ჰო, და! რაღაც ჩასჩურჩულა
ყურში ქემალს ფლიდ ანტანტამ...
ქემალსა და ლენინს შორის
გაირბინოს ლამის კატამ.

ქემალი სომხეთს მოადგა
ანგორის მშიერ თხებიტა...
ახვერჯან! მისცხეთ გმირულად!...
გნა, გნა წინ! ნუ დაფრთხებიტა!

თუ ძალა არ გაქვს, ძმავ ხვალზე
ხელი არ უნდა გაიკრა...
ყირიმში ბარონ ვრანგელმა
გულა-ნაბადი აიკრა...

ანტანტას გული ეტკინა...
დაღონდა ფრანგი — „მუსიო“:
ფიქრობს: ვრანგელი ჩაიმტვრა,
წითლებს აწ—ვინღა ვუსიო.

ვით მოისვენოს რუსეთმა,
ეჰ, როსლა გაიხაროსა...
ვრანგელი წავა, სხვა მოვა
„ტურფასა საბაღნაროსა“.

ბალახოვიჩი, პეტლჟურა
სავინკოვები, სხვა ბევრი...
გუშინ ჩემს სახლში ელხინობდი...
ღვინო გადავკარ რვა ქვევრი...

თეთრსა და წითელ სოკოებს
რუსეთი ასაზრდოებსა...
სოკო დიდხანს კი ვერ სცოცხლობს
ნიადაგს მალე სტოვებსა.

მაგრამ იგი კვლავ იფეთქებს
წვიმა რო მორწყავს მდებლოსა...
არ ვიცი, თუ ვინ, გაიტანს
ძმამო რუსეთში ლელოსა.

მგონია ბაქომ ინება
ნავთისა წარმოდინება...
აწი რა მიშავს: ჩემს სახლში
ქრახს, ლამპარს გაეცინება...

თუ გინდ ყირმიზი იყავი,
მეზობელი ხომ გჭირია...
ხეირს ვერ იზამ, თუ შენთვის
მეზობლის კირი — ჩხირია

მეზობელთ შორის თვისება,
მეზობლობა და ნამუსი,
მეტად საჭირო რამ არის, —
ხომ ასე არის ანუსი?!

მე ძმავ, „კრუშკა“ ნავთი მომცე
სანავთეს ვით გამოგიცლი...
მე ნავთი მსურს შენ სხვა რამე...
გადამიცვლი, გადმოგიცვლი?!

ვაი დედასა!.. ცუდმა დრომ
სთქვი, წელში ვინ არ მოჰხარა?..
ბევრი თვის სტომამქს მჩატეთ გრძნობს,
ბევრმა შიგ მეტი ჩაჰყარა..

„ბევრს შეეცვალა ჩვენება..
მოხუცდა, გახდა ჭალარა...
არ იცის, საით მიმართოს
თვისი დაფი და ნალარა...“

მართლაც და ამდენ ვარამში,
შიმშილში, თოვლ-სიცივშია;
გაგიკვირდება, რომ ჭკუა
ავითამშდეს წვივშია?!

დაჯექი, თუ კი გათბები
გინდ მთვარის, გინდ მზის სხივშია...
სულ წაწყმენდილმა სიდედრმა
ფული დამალა სკივრშია...
სოკო ამომდის პირშია...

ეს რა დრო — ჟამი დაგვიდგა...
დიდება შენდა უფალო!
ლამის შიმშილით სტომამქში
ავგიყვავილდეს უმბალო...

გარედ სთოვს, სთოვს, სთოვს, ბუქია...
მესმის ხმა ქარის სისინის...
შეშით ავსებულ ურმიდან
მეურმე როგორ დამცინის!!!

მსურს ავირიდო თვალები...
 ჰა, ვირზე შავი ნახშირი...
 სიცივემ ფეხი დამიზრო
 ნაბიჯი დავცხე ხშირ-ხშირი.

—
 ისევ ქარბუქი ცხვირის წინ.
 თვალებში რა მებლანდება?!?
 მიშველეთ... ავი რა მომდის?!?
 არ ვიცი, რა მებლანდება?!?

—
 ჰო, ჰო, ჰო!... როგორ დაბნელდა...
 ქაჯები შამოპარული—
 ჩვენს ირგვლივ დავლურს უვლიან...
 ჰაუ, არული, არული!!...

—
 ჰაუ, არული, არული..
 ქყავიან მკვდარი კატები.
 ქინკველებს კევრში გაუბამთ
 ფრთებ დაშვებული ბატები.

შექანჯალებული.



იქვილა ე—კაპანაძე.

(ამბავი რკინის გზის ცხოვრებადან).

იყო და არა იყო რა, ამაზე უკეთესი რაღა იქნებოდა. იყო ერთი შავდლიანი დარგი, რომელსაც ნამდვილი სახელი, უმასალო ნაწილი ერქვა, ხოლო მეტ სახელათ სამასალო ნაწილს ეძახდნენ.

ამ სახელის გაგონებაზე რკინისგზელებს შარშანდელი უშეშო ზამთარი აგონდებოდათ, უსიამოვნო გრძობებს განიცდიდნენ და წყევლა კრულვით იგონებდნენ ამ დარგის გაჩენის საათს

მაგრამ მოგეხსენებათ ღმერთი თავის გაჩენილს, კაცია იგი თუ დარგი, არ მოიძულვებსო და მართლაც, მიმდინარე წლის გაზაფხულის დასაწყისში უმასალო ნაწილს, მასალის შესაძენათ წარმოუვლინა ერთი ახალგაზრდა უწვევრულვაშო ვაჟი, ჩიქვილაძეთ წოდებული.

ცოდვილ დედამიწაზე ჩამოსვლის უმაღლვე ჩიქვილაძემ შემოიარა მთელი ხაზი (ფეხით არ გეგონოთ, ცალკე ვაგონით) და მეორე დღესვე ვრცელი მოხსენებით წარუდგა ქუთაისში რკ. გზის კავშირის გამგეობას, თფილისში კაპანაძეს და მოახსენა:

„გაიყვანეთ ტყიბულიდან რკინის გზა შვიდ რვა ვერსის მანძილზე და იმდენ შეშას მოგაწვდით, რომ შეგიძლიათ არამც თუ რკინის გზის, მთელი სახელმწიფოს მოთხოვნილება დააკმაყოფილოთ“.

მოხსენება დიდის სიამოვნებით იქნა მოსმენილი და მიღებული. მოსამსახურეები სიხარულით

ქულებს მალა ისროდენ და მომავალ ზამთარში სიცივისაგან სიკვდილს გადარჩენას ულოცავდენ ერთმანეთს.

შემოდგომა მიიწურა, ზამთრის სუსხმა რკინის გზელების უმინო ფანჯრებს ჩარჩოზე დაუკაკუნა, მაგრამ ჩიქვილაძის შეშა არა სჩანს და არა.

რაშია საქმე?!.. სადაა თქვენი დაპირებული შეშა... შეეკითხენ ჩიქვილაძეს მოსამსახურეები.

რაშია საქმე და რკინის გზის გასაყვანათ თურმე საჭირო ყოფილა რელსები, შპალები, ნაკლადკები, პოდკლადკები და კოსტილები. მე კი ეს სრულიად გაუშვი მხედველობიდან... მაგრამ არა უშავს, დღესვე მივემგზავრები ამ უსაჭიროეს საგნების შესაძენათ და როგორც შევიძენ დაუყონებლივ შეუდგები გზის გაყვანას და შეშის მოწოდებასო.

მოსამსახურეები ძლიერ დაღონდნენ, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ ჩიქვილაძის პირით ქეშმარიტება ლაღადებდა, დამშვიდდენ და შუამდგომლობა აღძრეს გზის გაყვანამდე სესხი მიეცათ შეშის საყიდლათ.

სესხი თითომ ორი ათასი მანეთი მიიღო, მაგრამ ვინაიდან ბაზარზე ოკრიბული ურემი 5000 მანეთი ფასობდა, ხოლო სვირული მაქარი კი 2000 მან. ისევ სვირული მაქარის ყიდვა ამჯობინეს.

ბევრგან ძლიერ ბევრი სიტყები წარმოითქვა და სადღეგრძელოები დაიღია ჩიქვილაძის პატივსაცემათ. ვინ მოსთვლის რა არ უსურვებს მას. პირველყოვლისა რასაკვირველია სიცოცხლე, შემდეგ ენერგია გზის დაჩქარებით გაყვანის საქმეში, და დასასრულ კიდევ სიცოცხლე ძვირფას სამშობლოს საკეთილდღეოთ.

გავიდა დრო და ჟამი. როგორც იქნა რკ. გზა გაიყვანა ჩიქვილაძემ. (თუმცა ორჯერ წაიღო წყალმა) და კაპანაძემაც (უმასალო ნაწილის უფროსია) გაანთავისუფლებია გზის უფროსს ათასამდე მუშა მოსამსახურე თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებიდან ტყიბულში შეშის დასამზადებლათ, მაგრამ შეშის მიღებას მაინც არა ეშველა რა.

რაშია საქმე? სადაა დაპირება?... რატომ არ კრით შეშას? .. რისთვის მოაცდინეთ ამდენი ხალხი ტყვილა?... შეეკითხენ მოსამსახურეები ჩიქვილაძეს.

— მეც ქე ვგრძობ, რომ პატარა შეცდომა მომივიდა და ათასამდე მუშა რკინის გზასაც მოვაკელი და შეშასაც ვერ ვჭრი, მაგრამ აბა რა ვიცოდი თუ მათთვის ტყეში პური იყო საჭირო?!! ეთქვათ მე დამავიწყდა მაგრამ, რას აკეთებს კაპანაძე?... ცოტა კიდევ მოითმინეთ ჩემო მეგობრებო და როგორც კი პურს მივიღებ მუშებისათვის მყისვე შეუდგები შეშის მოწოდებას— უპასუხა ჩიქვილაძემ.

მოსამსახურეები ჯერ დალონდენ... შემდეგ შერცხვათ და კვლავ აღძრეს შუამდგომლობა სესხის მისაღებათ. ჩიქვილადეს კი ერთი ძარღვიც არ შეთამაშებია სახეზე, როდესაც გაიგო რომ ოკრიბული ურემი შეშა ეხლა 7000 ფასობს უკვე.

კ. მწვანეყვავილელი.

P. S. ეს წერილი დაწერილი მქონდა რომ გავიგე, თურმე ჩიქვილადე—კაბანადეს ნაჯახებიც დავიწყუნიათ, მაგრამ სრული იმედია მათ დამზადებასაც მალე შეუდგებიან.

კ. მწვე—ლი



გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი

სერგო-სიან ყველა!!!

ვისაცა სურს გემრიელი შეჭამანდი კარგი; (ჯიბის ამამჩატებელი კუჭისათვის მარგი) ვურჩევთ ნახოს „სიმართლეში“ ჩვენი ძველი სერგო; (იმას ჩვენი გამოკვება განგებისგან ერგო) ტანადია ახოვანი რაჭველური გვართი დახლის ახლო უყვარს დგომა სანოვაცის ჯართი; ჩახოხბილი ინდაური მწვადი ცხელზე-ცხელი! გოჭი შეპიწკინებული თვალეზ განახელი; მწვანელების ლურჯი მდელი ტურფა და ნარნარი. ცხელი ხარჩო, ცხელი ღომი თეთრად გადამდნარი. ღვინო გამაცოცხლებელი მრავალ გვარი ფირმის, (არ აკლია ერთი სიტყვით არცა ხორცი ირმის) აი სერგოს ანდამანტი თვისკენ მიმზიდველი; კუჭის გამახარებელი ჯიბის დამჭეტველი— მაშ სერგოსკენ! იაფია! ნუ გაქვთ შურვა ბონის, იცოდეთ, რომ კარგი ჭამა მომცემია ღონის.

1-3

ლაგვის შუშები

მუდმივ მეტალღურ ჩარჩოში
 ცალბი დამზადება აკრძალულია
 მთავარი საწეობი (ბითუმად, ცაღ-ცაღკე)
 მთელი კავკასიისთვის არის
ნ. ლგოტაქის
 მალაზიაში
 მისამართი: თბილისი, ოფდას ქუჩა № 3
 საჭიროა ყველგან გამყიდველები
 შინები შეტლებისთვის და საბარგო ავტომობილისათვის.

1-2

საქუკეთესო ნივთი

სამახსოვროთ ანუ საჩუქრად

თავისთვის, მეგობრებისთვის, თანამოსამსახურეებისთვის, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, დღეობისთვის, ქორწინების დღისთვის ან და სამახსოვროდ საამურ მოგონებისა და სხვა. ეს არის ნახატი (შენიეროდ და ხელოვნურად-გადიდებული პატარა ფოტოგრაფიული სურათიდან გამოგვიგზავნეთ ჩვენ თქვენი ან იმ პირისა ვისგანაც გქონდეთ სამახსოვრო ფოტოგრაფიული ნახატი ფოსტით.

ჩვენ გაცნობებთ რანაირი უფრო აჯობებს ნახატი და რა ედირება

შევასრულებთ დაჩქარებით და კარგად

მისამართი: ქ. თბილისი, ვერის დიდშართი № 12

საპორტრეტო სხელოსნო „პალიტრა“

ა. კ. შოვოროზნიკისა.

1 2

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა .



წაყიდა, წაყიდა მხატვარი სხნდრო!
 აჲ, ობლად დაგვტოვა! გვიშოვა მან დრო!
 მაინც არ მოგვედებით: ვართ სლამანდრა!
 დაბრუნდი, ჩამოდი! რა გინდა მანდ, რა?

„ე ზ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ს ი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი უველგან 50 მან.

ქურნალში დაბეჭდება **გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი** შელავათიან ფასებში. რედაქციაში შეიძლება შექმნა აგრეთვე დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მომწერ-ლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთველის პრო-სპექტი, № 24. ეშმაკის მათრასისთვის. რედაქცია და კონტორი ღიაა 9-2 საათამდე.